# დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

## შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის (შემდგომში - კომპანია) 2013 წლის პერიოდის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს: ბალანს, მოგება-ზარალის ანგარიშს, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს, აგრეთვე სააღრიცხვო პოლიტიკის არსებით ელემენტებსა და ფინანსური ანგარიშგების კომენტარებს.

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მისი სამართლიანი წარდგენა წარმოადგენს კომპანიის მენეჯმენტის პასუხისმგებლობას, რომელიც მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი პროცედურების შემუშავებას და დანერგვას რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების დაცვას არსებითი შეცდომებისგან და მის სამართლიან წარდგენას; სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენას.

## აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე ობიექტური აზრის გამოხატვა ფინანსური ანგარიშგებების უტყუარობის შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის ისეთ დაგეგმვასა და ჩატარებას, რომელიც უზრუნველყოფს დასაბუთებული გარანტიის მიღებას ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე.

აუდიტი ითვალისწინებს შემდეგ პროცედურებს: მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგების თანხებისა და მათი ახსნა-განმარტებების დასტურების მიზნით; ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორეზე აზრის გამოხატვას; წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შეფასებას.

აუდიტორული პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორზე და მის მიერ შეფასებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის რისკის დონეზე.

ჩვენის აზრით, 2013 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დირექტორი

ნ.ბაბნიძე

---

აუდიტორი (ლიცენზია ზ-6/111)

ლ. აბლაძე

---

GGi INDEPENDENT MEMBER

## შპს „ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" - ბალანსი

| | კომ. | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები:** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 1 | 19,510,379 | 14,778,106 |
| არამატერიალური აქტივები | 1 | 4,524,842 | 4,795,804 |
| | | **24,035,221** | **19,573,910** |
| **მიმდინარე აქტივები:** | | | |
| სასაქონლო მარაგები | 2 | 8,662 | 10,854 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 3 | 40,450,015 | 14,132,398 |
| ფული და მათი ექვივალენტები | 4 | 934,286 | 24,872 |
| | | **41,392,963** | **14,168,124** |
| **სულ აქტივები** | | **65,428,184** | **33,742,034** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **საკუთარი კაპიტალი:** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 5,783,328 | 5,783,328 |
| პერიოდის ზარალი | | | (2,164,804) |
| აკუმულირებული მოგება | | 6,546,203 | 6,546,203 |
| | | 12,329,531 | 10,164,727 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები:** | | | |
| სასესხო ვალდებულებები | 5 | 9,356,070 | 11,206,028 |
| | | 9,356,070 | 11,206,028 |
| **მიმდინარე ვალდებულებები:** | | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | 6 | 42,616,180 | 9,717,643 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 7 | 1,126,403 | 767,089 |
| | | 43,742,583 | 10,535,401 |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | 65,428,184 | 33,742,034 |

204570160
GEORGIA. "TMC" LTD

## შპს „ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" - მოგება-ზარალის ანგარიში

| | კომ. | 2013 |
|---|---|---|
| ამონაგები | 8 | 44,149,487 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | (27,660,068) |
| **საერთო მოგება** | | **16,489,419** |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 9 | (2,108,661) |
| კომერციული ხარჯები | 10 | (1,825,977) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 11 | (6,090,124) |
| **საოპერაციო მოგება** | | **6.464.657** |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 12 | 1,775,525 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | 13 | (10.404.986) |
| **მოგება/ზარალი** | | **(2.164.804)** |

## შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის - კაპიტალის მოძრაობს ანგარიში

| | საწესდებო კაპიტალი | მოგება/ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| საწესდებო კაპიტალი | 5,783,328 | - | 5.783.328 |
| გაუნაწილებებლი მოგება | - | 6,546,203 | 6.546.203 |
| **ბალანსი 31.12.2012** | **5.783.328** | **6.546.203** | **12.329.531** |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | - | - | - |
| 2013 წლის ზარალი | - | (2.164.804) | (2.164.804) |
| **ბალანსი 31.12.2013** | **5.783.328** | **4.381.399** | **10.164.727** |

ობიექტივი. შპს "თი-ეი-სი"
204570160
GEORGIA. "TMC" LTD

## შპს „ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

| | 2013 |
|---|---|
| **ფული საოპერაციო საქმიანობიდან** | |
| მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი) | (2.164.804) |
| მარაგები | (2.192) |
| დებიტორული დავალიანების წმინდა (ზრდა)/კლება | 26,317,617 |
| კრედიტორული დავალიანების წმინდა ზრდა/(კლება) | (31.371.305) |
| **ფული საოპერაციო საქმიანობიდან სულ** | (7,220,684) |
| **ფული საინვესტიციო საქმიანობიდან** | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 4.461.311 |
| **ფული საინვესტიციო საქმიანობიდან სულ** | 4.461.311 |
| **ფული საფინანსო საქმიანობიდან** | |
| გრძელვადიანი სესხები | 1,849,958 |
| საწესდებო კაპიტალი | - |
| **ფული საფინანსო საქმიანობიდან სულ** | 1,849,958 |
| **ფულისა და ფულადი ეквივალენტების წმინდა ცვლილება** | (909,414) |
| **საწყისი ფული და ფულადი ეквივალენტები** | 934,286 |
| **საბოლოო ფული და ფულადი ეквივალენტები** | 24,872 |

საქართველო, შპს "თი-ემ-სი" 204570160 GEORGIA, "TMC" LTD

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (შემდგომში-კომპანია) შექმნილია „მეწამეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე 1996 წლის 27 აგვისტოს, სახელმწიფო რეგისტრაციის № 5ა/4-580.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 5,783,328 ლარია,
2014 წლის 16 აპრილის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:
შპს„ტელეკომპანია საქართველო” - 51%;
გ.გეგეშიძე - 9%.
ლ.ყარამანიშვილი –22%
გ.ყარამანიშვილი – 18%

კომპანიის საგადასახადო კოდია 211352016.
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას №45.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძვლები

### სააღრიცხვო პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“IFRS“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“IFRIC“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, გარდა იმ ფაქტისა რომ კომპანია არ აღიარებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახდო ბაზას შორის სხვაობით წარმოქმნილ გადავადებულ მოგების გადასახდის აქტივს/ვალდებულებას და არ ახდენს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაანგარიშებას ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის არსებული კურსით.

### სამუშაო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

204570160
GEORGIA "TMC" LTD

## შეფასება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოითხოვს რომ მენეჯმენტმა შეაფასოს და გააშუქოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას და რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებსა და ვალდებულებებზე, პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლით, და ამონაგებსა და ხარჯებზე.

## ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბალანსში აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება ასეთი ინსტრუმენტის ლეგალური მხარე.

## ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს.

## სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

## სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა გადასახდელი ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

## საბანკო კრედიტები და სხვა სესხები

საბანკო და სხვა სესხები თავდაპირველად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით ხოლო ანგარიშგებაში ასახულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზირებული ღირებულებით.

კრედიტის/სეხის ხარჯი აღიარდება პერიოდი მოგება-ზარალში.

## სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები თავდაპირველად შეფასებულია თვითღირებულებით რომელიც მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, აგრეთვე თუ შესაძლებელია ზედნადებ ხარჯებსაც, რომლებიც გაწეულია მარაგების დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო მარაგები ბალანსში ასახულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დაფასოებისათვისა და

საძართველო. შპს "თი-ემ-სი" 204570160 GEORGIA. "TMC" LTD

გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

რელიზებული მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად შეფასებულია ისტორიული ღირებულებით რომელიც მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს რომლებიც გაწეულია მათი დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებები კაპიტალიზებულია ხოლო არაკაპიტალიზებადი ხარჯები აღიარებულია მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ლიკვიდირებული ან გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება შესაბამისი ცვეთის თანხით აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხორციელდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

მიმდინარე პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიული ღირებულებიდან აკუმლირებული ცვეთის გამოკლებით.

**პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

პირობითი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება მანამ სანამ ასეთი აქტივების მოთხოვნა არ გამოიწვევს ეკონომიკური რესურსების შემოდინებას.

პირობითი ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება მანამ სანამ ასეთი ვალდებულების დაფარვა არ გამოიწვევს რესურსების გადინებას და შესაძლებელი იქნება მათი საიმედოდ შეფასება.

**ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშებულია ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტების მიმართ:

31.12.2013 - USD 1 = 1.7363 GEL EUR 1 = 2.3891 GEL

საქართველო, შპს "თი-ემ-სი" 204570160 GEORGIA, "TMC" LTD

**ამონაგებისა და ხარჯების აღიარება**

ამონაგებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.